პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
ხუთშაბათი
18
აგვისტო
№ 192
(16932)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘᲐ

ᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ კომუნისტი, მოვალეობის გრძნობის ადამიანი, კაცური კაცი! ასეთი გულთბილი, პატივისცემისა და დაფასების გამომხატველი სიტყვებით იხსენებს ხალხი ყველას, ვინც კეთილსინდისიერად, პატიოსნად შრომობს და მოღვაწეობს მინდობილ უბანზე, იცის თავისი მოვალეობისა და უფლების ფასი, განუხრელად იცავს სოციალისტურ ზნეობრივ ნორმებს, შეგნებული აქვს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე.

ჩვენს საზოგადოებაში ადამიანის მოქალაქეობრივ თვისებათა მთავარი საზომი იყო და არის უფლება-მოვალეობისადმი, შრომისადმი დამოკიდებულება, ის, თუ როგორ ამართლებს იგი ნდობას.

ცხადია, მუშაკისადმი, მოქალაქისადმი ახეთ მიდგომას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, ამ ხაუბრისწინა წელს, როცა საბჭოთა ხალხი ძალაში ამოქმედებული ახალი კონსტიტუციის და შრომითი აქტიურობის ვითარებაში განიხილავს ეპოქალურ დოკუმენტს — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. ჩვენი ადამიანები შემოქმედებითად ესწრაფვიან, რომ მათი მოღვაწეობა და მოქმედება შეეხამებოდეს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში დიდებულად არის ნათქვამი: „უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებასთან“. და ყოველივე ეს განუხრელად ვლინდება საბჭოთა მოქალაქისათვის დამახასიათებელ მრავალფეროვან მოღვაწეობაში, უფლება-მოვალეობათა შესრულებაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, საქმეებსა და საქციელში.

ამ კეთილშობილურმა და ნამდვილმა კომუნისტურმა გრძნობამ შთაგონა შესანიშნავი შრომითი მოღვაწეობა მოეპოვებინა ცნობილ მეჩაიეს, ორგზის სოციალისტურ შრომის გმირს ო. უფფუნიას, ხაკოლმეურნეო მოძრაობაში გამოჩენილ ორგანიზატორს, სოციალისტური შრომის გმირს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ა. კობაიძეს, თბილისის საავიაციო ქარხნის მოწინავე ზეინკალს, სოციალისტური შრომის გმირს ვ. ასათიანს, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეს, სოციალისტური შრომის გმირს გ. კურტანიძეს, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამომცდელ მძღოლს, სოციალისტური შრომის გმირს ბ. ვაშაკიძეს, ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის ათასობით მოწინავეს.

სოფლისა და ქალაქის მოწინავე ადამიანთა ხელიერი სახიხა და ხასათის საერთო ნიშნები კარგად გამოხატა თბილისის ჩარხაშენებელო გაერთიანების წარჩინებულმა ხარატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზ. ხარალიძემ: ყოველ ჩვენგანს, — თქვა ხან, — თავისი შემოქმედებითი გეგმები, თავისი სამუშაო უბანი აქვს. მაგრამ ყველა ჩვენგანს აერთიანებს ნამდვილი ეროუნიაზმი, მომთხოვნელობა თავისი საწარმოო, მოქალაქეობრივ, ადამიანურ მოვალეობათა შესრულებაში, უფლებების გამოყენებაში. ჩვენი უფლება-მოვალეობათა შესრულება კი შინაგანად უნდა ერწყმოდეს დღეკანდელობას, რესპუბლიკაში შექმნილ ჯანსაღ კლიმატს.

ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის უაღრესად ხაჭმიანი განწყობილება, ნამდვილი შემოქმედებითი ათოსი, დიდი პასუხისმგებლობისა და პრინციპული მომთხოვნელობის სულისკვეთება, რომელიც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში არის დამკვიდრებული, ვეღარ ითმენს, ვეღარ გუობს საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებას, უფლება-მოვალეობისადმი. ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკთა ოდნავ გულგრილობასაც კი. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო მკაცრად აფასებენ ზოგიერთ მუშაკთა უპასუხისმგებლობისა და ფუფლება-მოვალეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებს, ისეთ მოვლენებს, როცა მრუდე ხელით მართავენ საქმეს, ზიანს აყენებენ ხახელმწიფოს, ხალხის ნაშრომ-ნამაგარს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ მახინჯ მოვლენებს ჯერ კიდევ ვხდებით სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. სწორედ თავიანთი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის არასწორად გამოყენების გამო ამას წინათ სამუშაოდან გაათავისუფლეს ახალციხის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ო. კორკოტიანი, ზუგდიდის „ქალაქვაჭრობის“ მმართველი კ. წურწუმია, თანამდებობიდან გადააყენეს ახალციხის „ქალაქვაჭრობის“ მმართველი ა. იგოიხანოვი, ადმინისტრაციული ხასჯელი დაედოთ გორის „ქალაქვაჭრობის“ მმართველს გ. ღონღაძეს, თბილისის საქარხნო რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის დირექტორს ფ. ადამიას, ამავე რაიონის „ხურსათვაჭრობის“ დირექტორს ლ. ჩქარეულს, ზესტაფონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსს ი. კავლაძეს და სხვებს.

საწარმო-დაწესებულებების მუშაკთა უფლება-მოვალეობის არასწორად გამოყენებისა და სხვა ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ხარვეზები კადრების შერჩევასა და დაწინაურებაში. ამიტომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ჩვენი კადრები პირველ რიგში აღეზარდოთ მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ დღენიადაგ ვზრუნავდეთ მათი პოლიტიკური განათლებისათვის, ფიზიური და კულტურული ზრდისათვის. უნდა უზრუნველვყოთ კოლექტივის კეთილნყოფიერი გავლენა თითოეულ შუშაკზე და პირიქით — თითოეული ხამაგალითო იყოს თავისი საქმიანობით.

ამას წინათ გაიმართა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა თათბირი, რომელზეც მნიშვნელოვან სასიკეთო ძვრებთან და მიღწევებთან ერთად ბევრი ნაკლი და ხარვეზი აღინიშნა. კერძოდ, ითქვა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა ზოგიერთი მუშაკი თვითდამშვიდებას მიეცა, არ წუხს ამის გამო, რომ ზოგან ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა გაუარესდა, არ იგრძნობა ხიმწვავე მახინჯ მოვლენათა აღმოსაფხვრელად ბრძოლაში. ცხადია, ყოველივე ეს ამის შედეგია, რომ ადამიანებს, რომლებსაც ანდეს ხახელმწიფოებრივი ხაქმე, ზოგჯერ ნაადრევად ეუფლებათ თვითკმაყოფილების გრძნობა.

ხაბჭოთა ხაზოგადოება ძლიერია თავისი მოქალაქეთა შეგნებით. მისი ხახელმწიფო კანონები და მორალური პრინციპები მიზნად ისახავენ ყველა მშრომელის ხაზოგადოებრივი აქტიურობის განუხრელ ზრდას. მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობის შეგნება უკარნახებს მუშაკს არათუ თვითონ მოიქცეს ღირსეულად და იმუშაოს მთელი ძალ-ღონით, არამედ ყოველნაირად ეცადოს, რომ ახეთვე გულმოდგინედ ეკიდებოდნენ საქმეს სხვებიც, ზრუნავდეს კოლექტივის საერთო ინტერესებისათვის, სწორად ახამებდეს თავის თანამდებობრივ უფლება-მოვალეობას.

სწორედ ამ მოქალაქეობრივი ზრუნვით არის ნაკარნახევი ჩვენი მშრომელების გაბედული გამოსვლები შრომის დისციპლინის და წესრიგის განმტკიცებისათვის. ამ მხრივ რესპუბლიკის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა რუსთაველთა ინიციატივა შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ამ შეხანიშნავმა პატრიოტულმა ინიციატივამ ფრთები შეიხხა და ახლა მთელ რესპუბლიკაში, ყოველ ქარხანასა და ფაბრიკაში, კოლმეურნეობასა და ხაბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს ბრძოლა იმისათვის, რომ ჩვენს გვერდით არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი.

ამოცანა ის არის, რომ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობით ავამაღლოთ მუშაკთა უფლებისა და მოვალეობის სწორად შეხამება, უზრუნველვყოთ კოლექტივის კეთილი გავლენა თითოეულ ადამიანზე და პირიქით. ამასთან ყოველმხრივ უნდა წაეახალისოთ ინიციატივიანი, გულმხურვალე, ძიებისა და ხიახლისადმი თავდადებული ადამიანები, ისინი, ვინც დღენიადაგ იღვწის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, პარტიის XXV ყრილობის წინაწარდასახულობათა განსახორციელებლად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲐᲮᲘᲡᲪᲔᲛᲐ

ᲢᲐᲠᲘᲒᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲠᲔᲤᲘᲜ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. (საკ. კორ. ტელეფონით). წლეულს ადრე დაიწყო გაზაფხული, ვაზმაც ადრე გაიღვიძა. აგვისტოს მეცხუნვარე მზემ ყურძენი ნაადრევად დაამწიფა. ჯიფარიძის კოლმეურნეობის ტარიბანის ათმექტრიან ზვარში ყურძნის შაქრიანობამ 18 პროცენტს გადააჭარბა და რთველიც დაიწყო.

ტარიბანის ვენახებში პირველ დღეს 5 ტონა რქაწითელი მოიკრიფა და წითელწყაროს ღვინის ქარხანას ჩაბარდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ წითელწყაროს ღვინის ქარხანა (დირექტორი — ნ. ბაღაშვილი) ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა რთველის დაწყებას. ყურძნის მიღება და გადამუშავება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

მალე რთველი სხვა სოფლებშიც დაიწყება.

ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ — ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐ

ᲠᲗᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ მზადება ჯახეთში ოდითგანვე დიდი ფუსფუსითა და ზარზეიმით აღინიშნებოდა. ასეა ახლაც — ზოგი ვენახში მიესალელ გზას აწესრიგებს, ზოგი ყურძნის საკრეფ ჭურჭელსა და ინვენტარს ამზადებს, ზოგიც მაცოცხლებელ წყალს უმარხვებს ვაზს, რომ იგი აგვისტოს მოძალებულ მზეს არ დაეჩაგრინოს, მიწასაც და ყურძენსაც ტენი შეუნარჩუნოს.

მეგვრეხანაა და მეღვინის საქმეს ვიოყვიან?! ჩვენც ჩვენი სახრუნვი გვაქვს, ამჟამად კი მეგვიანეხენ არანაკლები. კარი ღვინო, რა თქმა უნდა, კარგმა ყურძენმა იცის, მაგრამ მისი გადამუშავების ტექნოლოგიის და ხარისხსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გვინდა საქმე ისე მოვაწყოთ, რომ რაიონის არც ერთი ქარხანაში ყურძენის მიღება არ შეფერხდეს! ცნობილია, რომ შეფერხება იწვევს, ერთის მხრივ, პროდუქციის ხარისხის დაკარგვას, მეორე მხრივ — ჩამბარებელთა ნერვიულობას, ზოგჯერ დიდ გაუგებრობას. ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ქარხნის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ, რაიონის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, შეიადგინეთ ყურძნის მიღების გეგმა-გრაფიკი.

ყურძნის ინდივიდუალური ჩამბარებლებისათვის ძირითადად დათმობილია შაბათი და კვირა დღე. ეს საშოალებას იძლევა დავიმახოროთ მათ ტრანსპორტით, ტარა-ინვენტარით.

ყურძნის შეუფერხებელი მიღებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების მიზნით, მოძველებული ტექნიკა შეიცვალეთ ახალი მანქანა-დანადგარებით. წელს ჩვენს ღვინის ქარხნებს შეუძლიათ ყოველდღიურად მიიღონ და გადაამუშაონ 4.000 ტონა ყურძენი, 1.000 ტონით მეტი, ვიდრე შარშან. ყველა ქარხანასთან მოწყობილია ყურძნის სინჯის აღებები მექანიკური დანადგარები. ორმხრივი კონტროლისა და სინჯის დაზუსტების მიზნით, შაქრიანობის წინასწარი განსაზღვრა მოხდება ადგილებზეც — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

რთველს რაიონში ხირსის მეღვინახეობის საბჭოთა მეურნეობა იწყებს, რომლის ტერიტორიაზეა ჩვენი მთავარი ქარხანა. იგი 12.000 ტონის წარმადობისაა. მეურნეობის მოშაკთა კოლექტივის პირობა რთველი 12 სამუშაო დღეში დაამთავრონ. ამაში ჩვენც ყოველნაირად შევიწყობთ ხელს.

რაიონის ღვინის კომბინატის ექვსივე ქარხანა 25 აგვისტოდან ყოველმხრივ მზად იქნება ყურძნის მისაღებად. მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ყველგან თითქმის დამთავრებულია. ვინიცხავთ ტარა-ჟურჭელს. რეკლამა ამაე რიცხვისათვის მთლიანად იქნება დამთავრებული.

რაიონში გეგმით გათვალისწინებული 31.000-ის ნაცვლად 33.000 ტონა ყურძნის მიღებას ვარაუდობენ. ჩვენ ეს სრულიადაც არ გვაშინებს. ქარხნებს გაცილებით მეტის მიღება შეუძლიათ.

ამ საათებიკო წელს ჩვენი მიზანია, დავამზადოთ რაც შეიძლება მეტი ისეთი ძვირფასი საბარკო ღვინომასალები, როგორიც არის „ტიბლიანი“, „გურჯაანი“, „კარდანახი“.

ზ. სტურუა,

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲓᲠᲝᲡ ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲔᲜ

ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე მდგომმა დედაქალაქის წესკვალკომბინატის (დირექტორი თ. გელაშვილი) კოლექტივმა განგელილ შვიდ თვეში მხამეულოვან წარმატებას მიაღწია.

მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმას იანვარ-ივლისში წესკვალკომბინატელებმა 6,1 პროცენტით გადაჭარბეს.

საოქტომბრო ვახტზე გამსაკუთრებით კარგ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც შ. ნადირაძე და ნ. შაპოვალოვი ხელმძღვანელობენ.

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ

ᲡᲐᲙᲐ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებმა გამართეს თათბირი ახალ სასწავლო წელს ეკონომიკური განათლების საკითხებზე. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრების, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, ეროვნული ოლქების, ქალაქების, ოლქებისა და რაიონების პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე გაიმართა ფართო აზრთა გაზიარება მშრომელთა ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში სწავლების როლის გაძლიერების შესახებ. ამასთანავე აღინიშნა, რომ მთელ რიგ შრომითს კოლექტივებში ეკონომიკური განათლების შესაძლებლობებს სრულად არ იყენებენ, ნაკლოვანებებია სწავლების შინაარსსა და ორგანიზაციაში.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ეკონომიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის საშაოსის ღონისძიებანი, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მუშაობის ღონის შემდგომი ამაღლების გზები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან და დიდი ოქტომბრის 60 წლისთავთან დაკავშირებული ამოცანების შესწავლას.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ვ. ა. ტიტელნიკოვმა.

(საკენფო).

ᲣᲔᲡᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჯ. ი. პატიაშვილისა და პარტიის სტავროპოლის მაპრის გეორგიევსკის რაიონის პირველი მდივნის ამხ. ვ. ა. გოლოვკოს შეხვედრა.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საქართველოს მშრომელებისათვის გეორგიევსკთან დაკავშირებულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა — ცნობილი ტრაქტატის ხელმოწერა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე ამდენი ქართველი ხალხის ბედი დიდ რუს ხალხს. შეეხნენ გეორგიევსკისა და ახმეტის რაიონების მშრომელთა მეგობრობისა და საქმიანი თანამშრომლობის, სოციალისტური შეჯიბრების გაფართოების საკითხებს, რომელიც ხალხთა ურღვევი ძმობის ნათელი დადასტურებაა.

(საინფორმაციო).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ სტუმრად არის ჩამოსული იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები — საკავშირო სკუპშინის რესპუბლიკათა და მხარეთა ვეჩეს დელეგატი კოსტე მარკოვსკი, ჩერნოგორიის სოციალისტური რესპუბლიკის სკუპშინის ვიცეთავმჯდომარე იოვან ვუიადინოვიჩი, კოსოვოს სოციალისტური ავტონომიური მხარის სამხარეო კომიტეტის აღმასკომის მდივანი დუშან რისტიჩი.

სტუმრები გაეცნენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის დარგის მიღწევებს, იყვნენ მთელ რიგ საწარმოებში, დაათვალიერეს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, ამოგზაურეს ფასანაურში.

17 აგვისტოს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ხანიძემ.

ამხ. ხანიძემ სტუმრებს უამბო, თუ როგორ აშოროვებენ რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სკკპ XXV ყრილობის გრანდიოზულ წინასწარდასახულობებს, თქვა, რომ უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვიეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, სახელოვანი იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის ღირსსაწყალობის ხაბჭოდისმა.

იუგოსლავია სტუმრებმა მადლობა გადაიხადეს გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც მათ საქართველოში გაუწიეს, თქვეს, რომ მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს წარმატებებმა, რომლებიც რესპუბლიკამ მოიპოვა სახალხო მეურნეობის განვითარების, განათლების დარგში, უმაღლესი განათლების სპეციალისტთა ეროვნული კადრების მომზადებაში.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის იოსიპ ბროზ ტიტოს მოსკოვის შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცპოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კოკკაძე (საქინფორმი).

ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲛᲙᲝ

17 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხანაგი ი. ბროზ ტიტო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში იყო და გვირგვინით შეამკო იგი. მან და მისმა თანმხლებმა პირებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ხსოვნას.

ი. ბროზ ტიტომ გვირგვინით შეამკო ავრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან და პატივი სცა საბჭოთა მეომრების ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და ბედნიერებას.

(საკენფო).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

17 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ კრემლში მოლაპარაკებას შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა თავმჯდომარე ი. ბროზ ტიტო, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა.

მოლაპარაკებაში მონაწილეობენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მთავარმართველი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. სტეპაკოვი;

იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ალმასკომის მდივანი ს. დოლანცი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩერნოგორიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. მილატოვიჩი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი მ. მინჩიჩი, მდივანი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ალმასკომში ა. ვერლინკოვი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის საკავშირო მდივანი ვ. ლუდვიგერი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. სმოლე.

მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების რეალიზაციისათვის მიმდინარე მუშაობა, სკკპ XXV ყრილობისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა.

გამოითქვა ერთგულება ნაბეჭთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის წარმატებით განვითარების გამო. განხილეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები. გაიმართა აზრთა გაზიარება მრავალ საერთაშორისო პრობლემაზე, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხებზე.

მოლაპარაკება, რომელიც გულთბილ, მეგობრულ გვთარებაში მიმდინარეობს, გაგრძელდება.

(საკენფო).

ᲮᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ რაიონის სოფელ ძიმითის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობამ წელს 1.509 ტონის ნაცვლად 2.060 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. წლის ბოლომდე 500 ტონას კიდევ მოკრეფენ.

დავალების შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანა ამ კოლმეურნეობის მექანიზატორმა ნაზი თავდიშვილმა. იგი ჩინებულად მართავს ჩაის საკრეფ მანქანას. მან უკვე შეახრულა წლიური დავალება — მოკრიფა 22 ტონა ჩაის ფოთოლი და ახლა დავალების გადამეტებით კრეფს ნედლეულს. მეჩაიე მექანიზატორი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ახალი გამარჯვებებით ეგებება.

ს. ᲯᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

400.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ სტუმრად არის ჩამოსული იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები — საკავშირო სკუპშინის რესპუბლიკათა და მხარეთა ვეჩეს დელეგატი კოსტე მარკოვსკი, ჩერნოგორიის სოციალისტური რესპუბლიკის სკუპშინის ვიცეთავმჯდომარე იოვან ვუიადინოვიჩი, კოსოვოს სოციალისტური ავტონომიური მხარის სამხარეო კომიტეტის აღმასკომის მდივანი დუშან რისტიჩი.

სტუმრები გაეცნენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის დარგის მიღწევებს, იყვნენ მთელ რიგ საწარმოებში, დაათვალიერეს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, ამოგზაურეს ფასანაურში.

17 აგვისტოს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ხანიძემ.

ამხ. ხანიძემ სტუმრებს უამბო, თუ როგორ აშოროვებენ რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სკკპ XXV ყრილობის გრანდიოზულ წინასწარდასახულობებს, თქვა, რომ უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვიეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, სახელოვანი იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის ღირსსაწყალობის ხაბჭოდისმა.

იუგოსლავია სტუმრებმა მადლობა გადაიხადეს გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც მათ საქართველოში გაუწიეს, თქვეს, რომ მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს წარმატებებმა, რომლებიც რესპუბლიკამ მოიპოვა სახალხო მეურნეობის განვითარების, განათლების დარგში, უმაღლესი განათლების სპეციალისტთა ეროვნული კადრების მომზადებაში.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის იოსიპ ბროზ ტიტოს მოსკოვის

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

„უზენაესი საბჭო“ და „უზენაესი სასამართლო“

ნინაადგილებში

კონსტიტუცია, სახელმწიფოს ძირითადი კანონი, უმაღლესი იურიდიული აქტია და ამიტომ სამეცნიერო ენა და ტერმინოლოგიური ფორმითა და ტერმინოლოგიური სიზუსტით.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ქართულ ტექსტში „верховный совет“ და „верховный суд“ ერთგვარ „უმაღლეს საბჭოდ“ და „უმაღლეს სასამართლოდ“. სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის ქართულ ტექსტში, ისევე როგორც საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში ეს ორგანოები „ავდაბარეულად“ სიტყვებით მართებულად იწოდებიან „უზენაეს საბჭოდ“ და „უზენაეს სასამართლოდ“. 1938 წლის 9 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ აღნიშნული ორგანოების სახელწოდებანი ამიერიდან უნდა ყოფილიყო „უმაღლესი საბჭო“ და „უმაღლესი სასამართლო“, რადგან სიტყვა „უზენაესი“ თითქოს აღარ გვხვდებოდეს ცოცხალ მეტყველებაში და ზუსტად არ ადგენდა ცვლილებას верховный-ს მნიშვნელობას. სესიამ დაკანონა ასეთი ცვლილება.

ორიენ მოსაზრები „უზენაესის“ საწინააღმდეგოდ უსაფუძვლო იყო მაშინ და უსაფუძვლოა დღესაც. верховный-ს ქართული შესატყვისია მხოლოდ და მხოლოდ „უზენაესი“, „უმაღლესი“ კი высший-ს შეესაბამება. ეს სულ უბრალო ჭეშმარიტება 1958 წელს მოგვაგონა პროფ. ვ. ბერიძემ მცირე წერილით „უზენაესი და უმაღლესი“ (ტურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1958, №1, გვ. 62-63). 1959 წელს იმავე ჟურნალის მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა წერილი „იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რომელსაც თან ახლდა ცალკეული რუსული იურიდიული ტერმინები და გამოთქმები ქართული შესატყვისებითურთ, რათა მკითხველს თავისი შენიშვნები მიეწოდებინა იურიდიული ტერმინოლოგიის შემდგენლებისათვის (იურიდიული ტერმინოლოგია „ავდაბარეულ“ ნიმუშად ჟურნალის მომდევნო ნომრებშიც გაგრძელდა). ასეთ ტერმინ-გამოთქმათა შორის იყო: верховенство — „უზენაესობა“; верховный,—ая,—ое—„უზენაესი“; верховный совет — „უზენაესი საბჭო“; верховный суд — „უზენაესი სასამართლო“. ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალას კრიტიკული შენიშვნებითა და წინადადებებით გამოეხმაურნენ აკად. გ. ახვლედიანი, პროფესორი ს. ჯორბენაძე, მ. ლომძე, ა. გელოვანი, ო. მაელაძე, დოც. ს. ჯოლრიძე, მაგრამ верховный-ს შესატყვისად „უზენაესის“ მიჩნევას არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია არც მაშინ და არც მას შემდეგ, რაც იურიდიული ტერმინოლოგია ცალკე წიგნად დაიბეჭდა (იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), სსქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963), სადაც верховный ყველა ტერმინ-გამოთქმაში (ასეთია სულ 18) თარგმნილია „უზენაესად“. ხოლო высший —„უმაღლესად“ (სულ 9). უთუოდ ესეც საყურადღებოა, რომ ეს წინადადება ადგილობრივ კლიმატზე ადამიანის ზემოქმედების საკუნენების მახძილზე შემუშავებული საშუალებაა და ამიტომ რწყვის რეჟიმის ეფექტიანობა მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად ასახავს იგი მოცემული რაიონის კლიმატური და ნიადაგური პირობების თავისებურებებს, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ამინდის პირობებს.

სარწყავი წყლით უზრუნველყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სარწყავი მიწების პროდუქტიულობის ამაღლებას. აქედან იწყება მეორე არანაკლებ საპასუხისმგებლო ეტაპი — სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენება.

რწყვა თავისთავად მეტად რთული აგროტექნიკური ღონისძიებაა, რადგან აქ ჩვენ საქმე გვაქვს ოთხი კომპონენტისაგან შემდგარ სისტემასთან: მცენარე, ნიადაგი, ატმოსფერო და სარწყავი წყალი.

ცნობილია, რომ არაწესიერ რწყვას (თუ მცენარეს არასაკმარისად ვაწვდით წყალს, ე. ი. ვრწყავთ, მაგრამ არ ვიცავთ მორწყვის ვადებსა და ნორმებს, ზოგჯერ კი ზედმეტი წყალი გვაქვს ნიადაგში) სარგებლობს ნაცვლად ზიანის მოტანა შეუძლია.

ამ ორ უკიდურესობას საქართველოს მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ეხვდებით. ამიტომ სარწყავ მიწებზე მოსაველიანობა ხშირად არასახარბიელოა.

ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ძლიერ გვაღვიანს, და გვაღვიან ზონებს მიეკუთვნება. ძლიერი გვაღვიანი ზონა მოიცავს ცენტრალური და ქვემო ქართლის ბარს, მესხეთის ქვაბულის სამხრეთ ნაწილს, ალაზნის მარჯვენა ნაპირს ქ. გურჯაანიდან მილარამდე, შირაქის ველსა და ივრისპირა მიწებს.

გვაღვიანი ზონა მოიცავს ალაზნის ველის დანარჩენ ნაწილს, ზემო ქართლს, მესხეთის ნრდილო-დასავლეთ ნაწილს და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებს. ამ ზონაში აორთქლება დიდია და გვაღვიან წლებში რწყვის რაოდენობა 2-3-ჯერ იზრდება.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილზე რწყვა აუცილებელია არა მარტო გვაღვიან, არამედ ჩვეულებრივ წლებშიც. წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ყოველთვის უნდა ზრუნავდნენ სარწყავი სისტემებისა და ტექნიკის მზადყოფნაზე, სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენებაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ზაფხულის გვალვების პერიოდში ყოველ ჰექტარზე შეტანილი 4-5 კუბური მეტრი წყალი დამატებით ერთი ცენტნერ ყურძნის ან სიმინდის მოსავალს ძლევა.

სამწუხაროდ, წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოები და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციები ყოველთვის სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მიღრმოტესამსახურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ნიადაგის ტენიანობაზე დაკვირვებების ჩვენ ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ რწყვა ალოსმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაგვიანებითა და მცირე ნორმებით ხდება. ადგილებზე სოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის კონკრეტული ვადების დადგენა ძირითადად ხდება სუბიექტური მოსაზრებებით, ან მაშინ, როცა უკვე იწყება ნიადაგის ზედაპირის დახეთქვა, მცენარის ფოთლების შეჭნობა.

არასწორია ისეთი პრაქტიკაც, როცა ვადებსა და რწყვათა რაოდენობას ამა თუ იმ რაიონის პირობებისათვის წინასწარ ადგენენ. მაგალითად, ამა თუ იმ რაიონში ვაზის ტენით უზრუნველსაყოფად საგალეტბელოდ ითვლება 4-ჯერ მორწყვა. აქედან პირველი 15 მაისს, ანუ ყვავილობის დაწყებამდე, მეორე 15 ივნისს, ანუ ყვავილობის დამთავრების შემდეგ და ა. შ. ყოველი თვის 15 რიცხვში. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არასწორია თუნდაც იმიტომ, რომ ცალკეული წლების აგრომეტეოროლოგიური პირობები ხშირად მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან მოსულიანობის ნალექების რაოდენობის, მათი საკვებეგეტაციო პერიოდში განაწილების მიხედვით და სხვ. ზოგიერთ წელს აღმოსავლეთ საქართველოში ვაზს ვეგეტაციის განმავლობაში ოთხი-ხუთი მორწყვა ჭირდება, ზოგჯერ კი ერთი. ამავე დროს რწყვათა შორის პერიოდების ხანგრძლივობა მერყეობს 15-დან 40 დღემდე.

წლევანდელი აგვისტო ჩვენში ძალზე მცხუნვარე და გვალვიანი. ვენახებს, ბაღებს და სხვა კულტურებს ახლა განსაკუთრებული ინტენსიური რწყვა სჭირდება. მორწყველთა ზუსტ, შეუყობილ მუშაობაზეა დამოკიდებული ყურძნის, ჩაქრის ჩარხლისა და სხვა კულტურების მოსავლის სიუხვის ბედი. უკანასკნელი ცნობებით დადგენილია, რომ აგვისტოს დამდეგისათვის მორწყულია სარწყავი ფართობის 10 პროცენტი. ეს, მართალია, შარშანდელთან შედარებით მეტია, მაგრამ დღევანდელ პირობებში საკმაოდ გაძლიერდეს რწყვის ტემპი და ხარისხი. ეს განსაკუთრებით ეხება კახეთისა და ქართლის მევენახეებს.

რწყვა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მაგრამ ეგი სასურველ შედეგს მაშინ იძლევა, როცა ამ საქმეს მცოდნე, კვალიფიციური ადამიანები უძღვებიან. ეს დიდი ფულადი სახსრები, რასაც სახელმწიფო საირიგაციო მშენებლობაზე ხარჯავს, ყოველი კეთილი მეტრი სარწყავი წყალი მაღალეფექტიანობით უნდა ანაზღაურდეს. ასეთია საღღეისო ამოცანა.

თ. თურმანიძე,
საქართველოს მიღრმიტეოროლოგიური ჰიდროგეოლოგიური ექსპედიციის მმართველის უფროსი.

რესპუბლიკის შავი მეტალურგიის ვერსპექტივები

ერთიანი

რუსთავში გაიმართა საქართველოს სსრ შავი მეტალურგიის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, ამიერკავკასიის რკინიგზის, სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები, მეცნიერები, დამპროექტებლები, წარმოების მოწინავეები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. აქტივის კრებაზე შეიმუშავეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შავი მეტალურგიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებას.

მოხსენებანი გააკეთეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. ნ. ხულაძემ, სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ მთავარმა ინჟინერმა ა. პ. ხობუამ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა თ. ვ. ახობაძემ და მეორეული შავი ლითონების დამზადება-გადამუშავების საწარმოო გაერთიანების დირექტორმა ა. კ. ქვარცხავამ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ნ. ა. გიორგობიანი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ო. ნ. ლომძე, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი კ. ვ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ლ. ნ. ოკლეი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტკომის მდივანი თ. მ. კაკოჩაშვილი, სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ ახალი ითხვისის მაღაროთამმართველის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი ბ. ა. გოგიტაშვილი, საქართველოს მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ჯ. გ. ცხელიშვილი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი დ. მ. სამხარაძე, მწყრალი გ. შ. ციცოშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ე. ა. მიქაშავილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ე. ნ. ვორონკოვი.

აქტივის კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის მოადგილემ ნ. ა. ტულინმა.

კრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ო. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარხუკოვი, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს საკავშირო გაერთიანების „საკმილფოლადის“ უფროსის მოადგილე რ. მ. ლიფშიცი.

აქტივის კრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ შავი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ყველა მუშის, ინჟინრის, ტექნიკოსის, მეცნიერის და მოსამსახურისადმი.

სახალხო მეურნეობის ხერხემალი

შავი მეტალურგია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ნამდვილი ხერხემალია. საბჭოთა კავშირს მტკიცედ უკავია მსოფლიოში პირველი ადგილი თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მილების წარმოებით, ყველაზე მეტს იღებს რკინის მადნის და უშვებს კოქსს. წელს ქვეყნის მეტალურგები მაღრწევენ მსოფლიოში ყველაზე მაღალ მიჯნას — გამოუშვებენ 150 მილიონ ტონაზე მეტ ფოლადს.

ახლანდელი ხუთწლიანი გეგმა თვალისწინებს რესპუბლიკის შავი მეტალურგიის საწარმოოო პროდუქციის შემდგომ ზრდას.

მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ამ საწარმოებში მთელი რიგი წლების მანძილზე ვერ იყო მთლად სახარბიელო მდგომარეობა. საგონებლად გაუჭირდებოდა სქემე მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა თავისი ცნობილი დადგენილებანი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ახლა უკვე დიდი, თავდადებული და გმირული მიღწევებით აღსავსე გზაა გამოვლილი. რესპუბლიკას შავი მეტალურგიის საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მეცხრე ხუთწლედის დავალებანი. 1976 წელს 1970 წელთან შედარებით ზრდის ტემპმა შეადგინა 114,3 პროცენტი ხუთწლიანი გეგმით განაგარიშებელი 109,2 პროცენტის ნაცვლად. ქვეყანამ სახელმწიფო დავალების დამატებით მიიღო ასი ათასობით ტონა მეტალურგიული პროდუქცია. წარმატებით დაიწყო მეათე ხუთწლედიც. მარტო მიმდინარე წლის შვიდ თვეში ვეგმის გადაჭარბებით წარმოებულია ათასობით ტონა კოქსი, თუჯი, ფოლადი, მზა ნაგლინი, მილები, მანგანუმის შენაღნობები, მანგანუმის მადანი. ამიერკავკასიის შავი მეტალურგიის ფლაგმანის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი ზედიზედ 14 კვარტალია პირველ ადგილზე გამოდის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და არ თმობს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას. დარგში არაერთხელ გამოსულან პირველ ადგილებზე კრებების მონაწილეებმა მანქანათმშენებლებს, დამპროექტებლებს, კონსტრუქტორებსა და რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებს მოუწოდეს დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი მეტალურგიული საწარმოების დაპროექტების სრულყოფისათვის, დროზე დაამზადონ და მიაწოდონ მათ მოწყობილობა, ხელსაწყოები, სიგნალიზაციის საშუალებანი, მართვის სისტემები; გაიძლიერონ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხაკოქსავი ქვანახშირის ხარისხის ამაღლებას, მასში ნაცრისა და გოგირდის შემცველობის შემცირებას.

მეტალურგებმა მოწოდებით მიმართეს აგრეთვე რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს, რათა მათ უზრუნველყონ ნედლეულის, სათბობისა და გადასამუშავებელი ლითონის სწრაფი და შეუფერხებელი გადაზიდვა ისეთი მოცულობით, რომელიც აუცილებელია ლითონსპროდუქციის წარმოების გეგმებისა და დამატებითი დავალებების შესასრულებლად.

რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი განვითარება დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს საქართველოს კომპარტიის რუსთავისა და ჭიათურის სამაზლაჭო კომიტეტებს, ზესტაფონის რაიკომს, საწარმო-მშენებლობათა პარტიულ კომიტეტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. მათ განსაკუთრებით მართები ორგანიზებულობა, თაოსნობა. (საქინფორმი).

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

საქართველოს ტელეტაიპი გაადვილებს

მსოფლიოს ამბები

ფაქტები • პრობლემები

ისტორიის ურყევი ფაქტი

ოქტომბრის ექო

ნახევარი საუკუნის წინათ ამ სტრიქონების ავტორმა პირველად იხახულა საბჭოთა კავშირი. მაშინ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მხოლოდ პირველი ათწლეული მთავრდებოდა. უკან დარჩა უცხოთელის ინტერვენცია, კონტრრევოლუციის მიერ გაჩაღებული სასტიკი სამოქალაქო ომი, შიმშილი...

შეერთებულ შტატებში იმ წლებში ბევრი ლიბერალი საბჭოთა კავშირზე ლაპარაკობდა როგორც „დიდ ექსპერიმენტზე". სწორედ ამ დიდი სოციალური ექსპერიმენტის სანაპიროდან წამოვიდა დაახლოებით 35 ამერიკელი სტუდენტისა და მასწავლებლისგან შემდგარი ჯგუფი 1927 წლის ზაფხულში.

ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ახალგაზრდები ვიყავით, ოცამდე კოლეჯის წარმომადგენლები. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წევრები, რომლებსაც მეც ვეკუთვნოდი, ამ ჯგუფის მხოლოდ მცირე ნაწილი ვიყავით. იგი შედგებოდა უმთავრესად ლიბერალურად განწყობილი, უწონიანრანგიო ადამიანებისაგან, რომლებიც გამსჭვალული იყვნენ საბჭოთა ქვეყნისადმი უდიდესი ინტერესით. მათზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ. მათ თითქმის ინტუიციურად უარყვეს განუწყვეტლივ წარმოებული და ხშირად სასაცილო სიცრუე სსრ კავშირზე, რასაც მონოპოლისტური პრესა ავრცელებდა, ამ დროს ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა იყო საბჭოთა კავშირის დიპლომატიური აღიარება, და ბევრნი იმათგან, ვინც ჩემთან ერთად იმგზავრა, შემდეგში მონაწილეობდნენ

უცხოელი ჟურნალისტები „კომუნისტის" ფურცლებზე

კოლეჯებში გამართულ კამათში და გამოდიოდნენ აღიარების სასარგებლოდ.

ჯგუფის წევრთაგან ზოგნი მუშათა მოძრაობაში მონაწილეობდნენ, ზოგმა კი თავი გამოიჩინა სტუდენტების საბრძოლო გამოსვლებში მილიტარიზმის წინააღმდეგ.

მუშათა მოძრაობაში საბჭოთა კავშირისადმი სიმპათიები ძალიან ძლიერი იყო. მიუხედავად ამერიკის შრომის ფედერაციის ბიუროკრატიული ბოროტი ანტისოვეტიზმისა, სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაციები იღებდნენ მრავალ რეზოლუციას, რომლებშიც მხარს უჭერდნენ სსრ კავშირის დიპლომატიურ აღიარებას და ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ნორმალური საჯარო ურთიერთობის განვითარებას. 1927 წლის იმ ზაფხულში ჩვენ მოსკოვში შეეხვედით პენსილვანიის შრომის ფედერაციის პრეზიდენტს ჯეიმს მორერს, რომელიც სათავეში ედგა ამერიკის მუშათა დელეგაციას. უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ მორერმა და მისმა დელეგაციამ გამოაქვეყნეს ჩინებული მოხსენება, რომელმაც ხელი შეუწყო სსრ კავშირის აღიარებისა და მასთან ვაჭრობისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

ყოველივე ეს ახლა შორეული ისტორიაა. დიპლომატიური აღიარება მოხდა ექვსი წლის შემდეგ, პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის მმართველობის პირველ წელს. ვაჭრობა თავდაპირველად ნელა ვითარდებოდა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ჩვენი ორი ქვეყანა მოკავშირენი გახდნენ ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. უკლებლივ ყველგან ამერიკელები ლაპარაკობდნენ ომაზე, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა წითელმა არმიამ ჰიტლერის ლეგიონების განადგურებაში. ამ სტრიქონების ავტორს კარგად ახსოვს, როგორ მიესალმებოდნენ ამერიკის ჯარები ფილიპინებზე ყოველდღიურ საინფორმაციო ბიულეტენებს ცნობებით წითელი არმიის წინსვლაზე დასავლეთისაკენ სტალინგრადის ისტორიული ბრძოლის შემდეგ, ომაზე, თუ როგორ ავლენდა იგი მუსრს ვერმახტის დივიზიებს. იმ დროს ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო ორგანომაც კი, სადაც კონსერვატორები ბატონობდნენ, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მიესალმებოდა წითელი არმიის მიღწევებს.

შემდეგ იყო „ცივი ომი"... ბოლოს და ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები იძულებული გახდნენ ეცნოთ მსოფლიოში ძალთა ახალი შეფარდება. 1972 წელს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი, რომლებიც შეიცავენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს. ჩვენ დავადექით დაძაბულობის შენელებისა და ურთიერთობის ნორმალიზაციის გზას. მაგრამ ამ გზაზე ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებაა.

როგორია ამერიკელ მოქალაქეთა დამოკიდებულება ამ ეპოქალური მოვლენისადმი ახლა, ოქტომბრის რევოლუციიდან სამოცი წლის შემდეგ?

მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება გრიგალისებრი ცეცხლი ანტისაბჭოთა პროპაგანდისა, რომლის ნამდვილი არსი „ადამიანის უფლებათა დაცვის" ყალბი ლოზუნგით უნდა დაფარონ, ამერიკელი ხალხის მასა მტკიცედ უჭერს მხარს მშვიდობიან თანაარსებობას. ხალხს არა სურს ომი. მას საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობა სურს. ამას სავსებით უეჭველად მოწმობს საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკითხვა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე.

დღეს არავინ არ ხმაურობს გაფთრებულ „სოციალური ეჭსპერიმენტი", არ ხმაურობს „ოთ მრავალი წელია, ოქტომბრის რევოლუცია ისტორიის ურყევი ფაქტია. არც ერთ ზოგზოოვნე ამერიკელ მოქალაქეს, როგორიც უნდა იყოს მისი პოლიტიკური შეხედულებანი, არ შეუძლია დაეეჭვოს ეს. ამიტომ დიდი ოქტომბრის რესანტიმენტი ამერიკელ მეესალმება ყველა ამერიკელი, რომელსაც ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობა და მეგობრობა სურს.

საიმონ გერსონი,
ამერიკელი პუბლიცისტი.

ი. ბროზ ტიტოს თხზულებათა კრებული

ბელგრადი, 16 აგვისტო. (საკ-დესი). იუგოსლავიის დედაქალაქის ზონის დახლებზე გამოჩნდა იუგოსლავიის სოციალისტ ური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ „ტიტოს თხზულებათა სრული კრებულის პირველი ოთხი ტომი, რომელიც იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამოდის პარტიის სათავეში მისი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით.

ი. ბროზ ტიტოს თხზულებათა სრული კრებული იუგოსლავიაში პირველად გამოდის და 50 ტომისაგან შედგება. კრებული ასახავს მის ნაყოფიერ პოლიტიკურ, სამხედრო, სახელმწიფო მოღვაწეობას. იუგოსლავი ხალხების, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის საქმის საუთალდღეოდ.

ვიცე-პრეზიდენტი აღიარებს

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. (საკ-დესი). ამერიკელთა პირად ცხოვრებაში ამერიკის ისეთი სამსახურების ჩარევის ხასიათზე, როგორიც არის გამოძიების ფედერალური ბიურო და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, წარმოდგენას გვაძლევს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის უ. მონდეილის გამოსვლა ამერიკის იურისტთა ასოციაციაში. უ. მონდეილი ერთ დროს ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო ორგანოების საქმიანობის გამოძიების სენატის სპეციალური კომისიის წევრი იყო. ვიცე-პრეზიდენტმა გულახდილად განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ დაწერილია ტელეფონით ლაპარაკის მიყურადება, ფოსტის გახსნა, ჩხრეკა. იგი მაშინ მოითხოვდა შეიმოშავებინათ ღონისძიებანი, რომლებიც საზღვარგარეთ მყოფ ამერიკელ მოქალაქეებს გარიდებდნენ მათი ტელეფონით საუბრის მიყურადებას ამერიკის უშიშროების სამსახურების მიერ.

ამერიკის შეერთებული შტატების „კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევის მაგალითად ვიცე-პრეზიდენტმა მოიყვანა „ჩეზმიტანილი პირებისა და ორგანიზაციების საიდუმლო დოსიე". „კანონების ყველაზე დიდ დარღვევად ვიცე-პრეზიდენტმა დაასახელა გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ პენტაგონთან ერთად შემუშავებული „კონტროლპროს" პროგრამა, რომლის მიზანია ნებისმიერი ამერიკელის დევნა და დახჯა, ვისი პოლიტიკური შეხედულებები ან მოქმედებაც „შეუფერებლად" მიაჩნდათ.

ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ასეთი საქმიანობის შეზღუდვისათვის საკმარისი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლება და საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა შეიმუშაოს სპეციალური დებულებები გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსათვის.

ბრალს დებენ კორუფციაში

დელი, 16 აგვისტო. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ დაუპატიმრეს წინა ადმინისტრაციის შემადგენლობაში მყოფ პირთა ჯგუფი. მათ შორისაა ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი.

დაპატიმრებულებს წაუყენეს კორუფციის ბრალდება. გამოძიების ცენტრალური ბიუროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაპატიმრებულთა რეზიდენციების ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომლებიც იდასტურებენ მათ დანაშაულებრივ საქმიანობას.

სოციალიზმის ქვეყნებში

ოლიმპიადა 1980 პერიოდში ხალხური პოლონეთის გემთსაშენებში 6 მილიონი ტონა საერთო წყალწყვეტის სხვადასხვა დანიშნულების 1500 გემი აიგო. მარტო გდანსკის ვ. ი. ლენინის სახელობის გემთსაშენში სსრ კავშირის დაკვეთით 503 გემი აშენდა.



სურათზე: ხატვირთო ხომალდი „სკულპტორ გოლუბკინა".

ვანოის გარეუბანში გაიხსნა სსრ კავშირის ხელშეწყობით აგებული პირველი კომპლექსური სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი (სურათზე ქვემოთ). მეცნიერთა განკარგულებაშია ასზე მეტი ლაბორატორია ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, გეოლოგიის, კიბერნეტიკის დარგებში სამეცნიერო კვლევისათვის.

საკდესის ფოტო.

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲗ

ᲣᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ფედერალური სარეზერვო სისტემის ცნობამ იმის შესახებ, რომ ივლისში სამრეწველო წარმოება მხოლოდ 0,5 პროცენტით გადიდდა, ოპტიმიზმი ვერ ჩაუნერგა ამერიკელებს. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა თვალსაჩინო ამერიკელ ეკონომისტთა პროგნოზები, რომლებიც თვლიან, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მორიგი „პაუზა" დაეცა. სპეციალისტები, კერძოდ, ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ მაისსა და ივნისში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი უფრო მაღალი ციფრებით გამოიხატებოდა — შესაბამისად 0,9 და 0,7 პროცენტით.

ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲓᲔᲑᲐ

● **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** ფედერალური სარეზერვო სისტემის ცნობამ იმის შესახებ, რომ ივლისში სამრეწველო წარმოება მხოლოდ 0,5 პროცენტით გადიდდა, ოპტიმიზმი ვერ ჩაუნერგა ამერიკელებს. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა თვალსაჩინო ამერიკელ ეკონომისტთა პროგნოზები, რომლებიც თვლიან, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მორიგი „პაუზა" დაეცა. სპეციალისტები, კერძოდ, ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ მაისსა და ივნისში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი უფრო მაღალი ციფრებით გამოიხატებოდა — შესაბამისად 0,9 და 0,7 პროცენტით.

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲘᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

● **ᲡᲐᲜ-ᲮᲝᲡᲔ,** კოსტა-რიკის მემარცხენე პარტიების კოალიცია „ერთიანმა ხალხმა" დაიწყო 1978 წლის პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადება. მან პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელა კოსტა-რიკის უნივერსიტეტის მასწავლებელი როდრიგო გუტიერესი.

„ერთიანი ხალხის" კოალიციის პროგრამა, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტობის კანდიდატმა როდრიგო გუტიერესმა, ითვალისწინებს ეროვნული ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვას უცხოეთის მონოპოლიების მიერ ძარცვისაგან. იგი მოითხოვს მშრომელებისათვის ხელფასის მომატებას და ილაშქრებს ცხოვრების ღირებულების ზრდის წინააღმდეგ.

ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

● **ᲑᲝᲜᲜᲘ.** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება მოჭალაქეთა დისკრიმინაცია მათი პოლიტიკური რწმენის გამო. შლეზვიგ-გოლშტაინის მხარის ხელისუფლებამ 28 წლის მასწავლებელს გ. გ. ლაუს უარი უთხრეს ერთ-ერთ სკოლაში სამუშაოდ მიღებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „რამდენჯერმე შენიშნეს გერმანელთა კომპარტიის კრებებზე".

ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲕᲐᲚᲕᲐ

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** ძლიერი გვალვა, რომელმაც კალიფორნია მოიცვა, დიდ ზიანს აყენებს ამ უდიდესი შტატის ხოფლის მეურნეობას. როგორც კალიფორნიის ხოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა გამოაცხადა, გვალვის შედეგად გამოწვეულმა ზარალმა უკვე გადააჭარბა 500 მილიონ დოლარს.

ᲡᲚᲘᲒᲐᲜᲘ ᲙᲘᲚᲚᲐᲕ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 16 აგვისტო. (საკდესი). ისრაელის არტილერიამ კვლავ ინტენსიური ცეცხლი დაუშინა ლიბანის ეროვნული პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიციებს ლიბანის სამხრეთ რაიონებში. საარტილერიო ცეცხლის დახმარებით აგრესორის მექანიზებული ქვეითაანაყოფები აქტიურად მიიწევდნენ მაროკიონი, ალ-მეთის, კლეის დასახლებული პუნქტების მიმართულებით. როგორც მოწმენი ეტყობინებიან, ლიბანის მომიჯნავე ისრაელის ტერიტორიაზე კონცენტრაცია, აწარმოებენ აქტიურ საინჟინრო სამუშაოებს, ისრაელის სამხედრო-საპაერო ძალების ოვითმფრინავები განაგრძობენ ოეგულარულ საფაზვერვო ფრენა სამხრეთ ლიბანზე.

ერეკი რა ამ რაიონის ამბებში, ისრაელი მხარს უჭერს ლიბანის კონსერვატიულ ძალებს. ტელ-ავივის მიერ მრავალმხრივი ფინანსური, მატერიალური და სამხედრო მხარდაჭერის ფაქტი ამ დღეებში პირველად აღიარა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბეგინმა. მართალია, მას არავითარი ზუსტი ცნობები არ მოუყვანია, მაგრამ დასავლეთის პრესაში დიბეჭდა ცნობები, რომლებიც საუფალებას გვაძლევს წარმოდგენა გავიქონიოთ ამ დახმარების მასშტაბზე. მაგალითად, მარტო სამოქალაქო ომის დროს ისრაელმა ლიბანის კონსერვატიულ ძალებს მიაწოდა 110 ტანკი, 5 ათასი ტყვიამფრქვევი და 12 ათასი სასროლი იარაღი, რომელთა ღირებულება 35 მილიონ დოლარს შეადგენს. „ამაზე სამჯერ მეტი თანხა დახარჯეს ისრაელებმა ლიბანის სანაპიროს საზღვაო ბლოკადისა და საჰაერო პატრულების ორგანიზაციისათვის. ისრაელის სამხედრო ბანაკებში მომზადდება გიორა მეიმარჯვენე ძალების შეიარაღებული რაზმების 1500-მა წევრმა. ამასთან ამ რაზმებში ისრაელებს ოფიცრის თანამდებობები ეკავათ.

სამრეთ ლიბანის ამბებში ისრაელის ფართო მონაწილეობას შორს მიმავალი მიზნები აქვს. ხელს უშლის რა ამ რაიონში მდგომარეობის დაწყებულ ნორმალიზაციას, ტელ-ავივი მიზნად ისახავს ჩაანშოს პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა და ძირი გამოუთხაროს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესს. ამ მიზნით ისრაელის მმართველი წრეები ყოველმხრივ ეხეიდებენ უთანხმოებას სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის არა მარტო ლიბანში, არამედ სხვა არაბულ ქვეყნებშიც. ამით ტელ-ავივი ცდილობს შეასუსტოს არაბთა ერთიანობა თავს მოიხვიოს მათ ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგების ისრაელისათვის სასარგებლო გეგმები.

ᲠᲝᲖᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡ Გ. ᲙᲐᲞᲚᲔᲠᲘ

ᲠᲝᲛᲘ, 16 აგვისტო. (საკდესი). სამხედრო დამნაშავე გ. კაპლერი გუშინ გააქციეს რომის სამხედრო ჰოსპიტალიდან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამჟამად იგი დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე იმყოფება.

მეორე მსოფლიო ომის დროს გ. კაპლერი იყო ესესელთა რაზმებისა და გესტაპოს უფროსი რომში. მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი დაბრტყელისათვის იტალიის სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მოუსაჯა.

შარშან თებერვალში დამნაშავე „ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან" დაკავშირებით ციხიდან სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც მას კარაბინერები მიუყენეს.

დამნაშავის წინასწარ მოწყობილი მოტაცება უცნაურ და ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელ ვითარებაში მოხდა. იტალიის თავდაცვის მინისტრმა ვ. ლატანციომ, რომელიც პრესკონფერენციაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ კაპლერი გამოიტანეს ჰოსპიტალიდან... დიდი ჩემოდნით.

აქამდე დამაჯერებლად არ არის ახსნილი სამხედრო ჰოსპიტლის უფროსობის საქციელი, რომელმაც კაპლერის გაქრობა ხელისუფალთ აცნობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მრავალი საათი გავიდა მისი თავისუფლად ყოფნის შემდეგ. ალბათ ხწორედ ამ საეჭვო დაყოვნებამ მისცა საშუალება კაპლერს გაქცეულიყო საზღვარგარეთ. ხელისუფალთა მიერ გაცემული განკარგულება აეროპორტებისა და სასაზღვრო პუნქტების ბლოკირების შესახებ დანიშნულების ადგილას მივიდა მაშინ, როცა დამნაშავემ უკვე დატოვა იტალიის სახელმწიფოს საზღვრები და დასავლეთ გერმანიაში აღმოჩნდა.

როგორც კი ცნობილი გახდა კაპლერის გაქრობის ამბავი, სამხედრო ჰოსპიტალთან შეიკრიბნენ აღშფოთებული რომაელები, ქალების იმ მცხოვრებთა ნათესავები, რომლებიც ჰიტლერელებმა დახვრიტეს მეორე მსოფლიო ომის წლებში. მათ ჯადმწყვეტი პროტესტი განაცხადეს ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც დაუშვეს სამხედრო დამნაშავის გაქცევა. კაპლერის გაუჩინარება, განაცხადა იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ა. ტორტორელამ, შეურაცხყოფას აყენებს იტალიელთა გრძნობებს, ეს ჰიტლერიზმის მსხვერპლთა ხსოვნის გალანძღვაა. საპროტესტო განცხადებები გამოაქვეყნეს იტალიის პარტიზანთა ეროვნულმა ასოციაციამ, სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

როგორც ცნობილი გახდა, იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ანდრეოტიმ განკარგულება გასცა გაუგზავნონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალთ მოთხოვნა კაპლერის დაუყოვნებლივი გაცემის შესახებ.

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲠᲑᲘᲐᲜ

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ უკვე კი აღარ იძინებს, არამედ მტანჯველი სენით კვდება. ფართოდ გავრცელებული ვერსია, თითქოს ქალაქის მთავარი საფრთხე „წყალში ჩაძირვა იყოს", — მცდარია. სინამდვილეში ვენეციის „ჩაძირვის" საფრთხე ნაწილობრივ უკვე აღმოფხვრილია.

ქალაქისათვის ბევრად უფრო სამაშია წყალსატევებისა და ჰაერის გაჭუჭყიანება. საცხოვრებელი სახლების ნგრევა, შრომისუნარიანი მოსახლეობის გაქცევა იტალიის სხვა რაიონებში, ხელისუფალთა გულგრილობა და გაუბედაობა მწვავე პრობლემების წინაშე და ბიუროკრატიული დაბრკოლებანი.

11 წელი გავიდა გამანადგურებელი წყალდიდობიდან და 4 წელი — ვენეციის შესახებ სპეციალური კანონის ძალაში შესვლიდან, რომელშიც ჩამოთვლილია ქალაქის გაჯანსაღების საჭირო ღონისძიებანი და განსაზღვრულია ამ მიზნისათვის გამოყოფილი თანხა. მაგრამ ხელისუფალთ დღემდე თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ, რომ ხელი შეეშალათ ვენეციის დაღუპვისათვის.

1973 წლის სპეციალური კანონით 300 მილიარდი ლირა უნდა გამოყოფილიყო ქალაქის გადასარჩენად (1000 ლირა 0,84 ჰაენთის ოდრის).

საოცარი სწორედ ის გახლავთ, რომ სახსრები არის, მაგრამ ხელისუფალთ სწორად ვერ დაუხარჯავთ.

პერსპექტიული გეგმით, მთელი ეს თანხა 1977 წლამდე უნდა გამოეყენებინათ. და აი დადგა ეს წელი. მაგრამ შეკითხვაზე, თუ სინამდვილეში რამდენი დაიხარჯა ვენეციის გადასარჩენად, მუნიციპალიტეტში, როგორც წესი, ორჭოფული პასუხს იძლევიან. და მხოლოდ თანდათანობით ირკვევა საოცარი ამბები. თურმე, ამ პროექტების რეალიზაციისათვის, რომელებიც უკვე განხორციელდა ან ამჟამად ხორციელდება, მხოლოდ 26 მილიარდი ლირა ყოფილა გამოყოფილი.

ამ შემონაწირით, რომელიც ვენეციის დახმარების საზღვარგარეთის კომიტეტმა მოაროვეს, უკვე ბევრი რამ გაკეთდა დიდი ხეროთმოძღვრული ძეგლების აღსადგენად. ეს, რა თქმა უნდა, კარგი დასაწყისია. მაგრამ ქალაქის გაჯანსაღების მთავარი პრობლემა ეკოლესიებისა და სასახლეების რესტავრაცია კი არ გახლავთ, თუმცა ზოგიერთი ტურისტი, შესაძლოა, სხვას ვერაფერს ხედავდეს. ვენეციელებს სურთ, რომ მათი ქალაქი ცოცხალი და დასახლებული იყოს.

ვენეციაში ყველაზე მკაცრი შობადობა იტალიაში, თანაც აქ სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას. 1951 წელს მოსახლეობის 40 პროცენტი 65 წელს გადაცილებული იყო, ხოლო 1965 წელს ეს წილი 78 პროცენტამდე გაიზარდა. ვენეციას შეიძლება ისეთ ქალაქად ვადაიქცეს, სადაც მხოლოდ მოხუცები იცხოვრებენ.

მიტისმეტად სწრაფად ეზრდება ბალი ვენეცია. ტამპი ოდნავ განათებული ძველი ქალაქ ი ს მიღმა დაინახავთ ცაში აზიდულ XX საუკუნის „ჩირაღდნებს". გამონამუშავი გაზის ალის ენები ამოდის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების საკვამურებიდან, ბოლის ღრუბლები მიიწევენ შავი ცისკენ და წყლის ორთქლს ერთვიან.

მრეწველთა ინტერესებს თითქმის ეწინააღმდეგება ისტორიულად ჩამოყალიბებული ვენეციის შენარჩუნება. საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით საკრებულო ფირმები იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ და საწარმოთა ნაწილი საწმენდი ნაგებობებით აღჭურვეთ. მაგრამ ხელისუფალნი მაინცდამაინც არ აჩქარებენ მრეწველებს. 1973 წლის სპეციალური კანონით განსაზღვრული იყო, რომ 1976 წლისათვის ყველა საწარმოს უნდა ჰქონოდა საწმენდი დანადგარები. მაგრამ მეორე კანონმა, რომელიც შარშან მაისში მიიღეს, ამ მოთხოვნის შესრულების ვადა 1985 წლამდე გაგრძელა. ამასობაში იტალიის პარლამენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად საწარმოები ოთაუგვიანეს 1879 წლისა საწმენდი ნაგებობებით უნდა აღჭურვოს.

მაგრამ ეს ჯერჯერობით არ მოიმხდარა, ჰაერში კი ყოველდღიურად გამოიბოლქვება 325 კილოგრამი გოგირდის ანჰიდრიდი.

„ᲕᲔᲚᲢᲕᲝᲚᲔ", ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘ.

ᲣᲐᲠᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲚᲣᲡᲐᲙᲐ, 16 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთმა გადაწყვიტა არ დადოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის შეიარაღების მიწოდების ახალი შეთანხმებები, განაცხადა აქ ოფიციალურ ვიზიტით მყოფმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუი დე გირენგომ.

ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, იგი შეასრულებს თავის ვალდებულებებს წინანდელი კონტრაქტების მიხედვით, მათ შორის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის სამხედრო გემების მშენებლობის შესახებ, მათი მოქმედების ვადის გასვლამდე. ამასთან დე გირენგომ აღიარა, რომ სამხრეთ აფრიკის რეჟიმი განაგრძობს იარაღის წარმოებას საფრანგეთის კომპანიების ლიცენზიებით.

მან განაცხადა, რომ მისი ქვეყანა „ოლაშქრებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ამ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ ნამიბიის დამოუკიდებლობის გამოცალკევების შემდეგ მისი ხელისუფლების სათავეში დააყენოს მარონეტული მთავრობა. ნამიბიაში, საფრანგეთის მთავრობის აზრით, უნდა მოეწყოს არჩევნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლით, ამასთან იმ პირობით, რომ გაიყვანონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთელი ჯარები და პოლიციის ძალები და ამ ქვეყანაში იყოლიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის ძალები.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბონში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰ. შმიდტის 19 აგვისტოსათვის გათვალისწინებული ვიზიტი იტალიაში გადაიდო. ამ ვიზიტის დროს დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაური მოლაპარაკებისათვის უნდა შეხვედროდა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჯ. ანდრეოტის. ბონში ამ გადაწყვეტილების არავითარ მიზეზს არ იტყობინებიან. მაგრამ, როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, ეს გამოწვეულია ორ ქვეყანას შორის „ურთიერთობის გაუარესებით" იმის გამო, რომ რომში სამხედრო ჰოსპიტლიდან გაიტაცეს სამხედრო დამნაშავე, გესტაპოს ყოფილი უფროსი იტალიის დედაქალაქში გ. კაპლერი.

ᲪᲐᲚ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ?

ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲐᲛᲠᲘᲖᲐᲚ, სპორტული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ამერიკული გზეთის „ვაშინგტონ პოსტის" ჩაწოდებით დასავლეთის პრესაში კვლავ ატყდა აურზაური, თითქოს საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა მხოლოდ ერთი მხარისათვის იყოს ხელსაყრელი. ძლიერ, ამასთანავე „დაზარალებულ" მხარედ, ცხადია, წარმოდგენილი არიან ამერიკის შეერთებული შტატები და განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, ხოლო „დასავლეთის გამოცდილებისა და ტექნიკური ცოდნის" ლომის მოქმედ მუშტრებად — საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

აქ არც თემაა ახალი, არც არგუმენტი (ან სად არის ამის არგუმენტები) და გათვალისწინებულია მიამტი ან საქმეში ჩაუხედავი მკითხველისათვის.. სხვა დროს ეს ყურადღების ღირსიც კი არ იქნებოდა, მითუმეტეს, რომ ამგვარი მტკიცებანი ეწინააღმდეგება კომპეტენტური დასავლელი სპეციალისტებისა და ბიზნესმენების აზრს და, ესეც არ იყოს, ისეთ პირთ ეკუთვნიან, რომლებიც არ მონაწილეობენ სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებთან

მეგობრობა გზაკვ და ხიდად

დაუვიწყარი დღეები

თერჯოლა. (საკ. კორ.). დიდი ხნის მიმოწერას ის მოჰყვა, რომ ახალთერჯოლის რვაწლიანი სკოლის პიონერთა ნანატრი სტუმრები გახდნენ უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ ნოვოალექსანდროვკის რვაწლიანი სკოლის მოსწავლე პიონერები.

უკრაინელ ბავშვებს, საზეიმო შეხვედრა მოუწყეს ახალთერჯოლაში. კოლმეურნე ანდრო მაისურაძესთან დაბინავებული პატარა სტუმრები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ ოჯახში. დიდი სითბოთი და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. მიმზიდველად და შინაარსიანად გაატარეს სტუმრობის ერთი კვირა. იყვნენ თბილისში, გორში, ბათუმში, ქუთაისში, ნახეს ისტორიული ძეგლები და ახალი საქართველოს მძლავრი მაჯისცემა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დარჩათ თერჯოლის ახლახან გახსნილ პიონერთა ქალაქ „სპუტნიკს“. პირველ დამსვენებელ ბავშვებთან შეხვედრით, მოიხიბლნენ შესანიშნავი კომპლექსით, მათ მხატვრული თვითშემოქმედებით.

ეს დღეები მუდამ ეხსომებათ უკრაინელ პიონერებს.

ო. ნიჟაბაძე.

მაგულო, საყვარელო!

ძვირფასი სახეები

ქვაბიხევის სამნავიანი გაზეთი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ბორჯომში შეხვედი ადგილობრივ მცხოვრებს, ღრმად მოხუც მხატვარს გიორგი ხმალაძეს, რომელიც ამ ხეობის ისტორიულ ძეგლებს კარგად იცნობს. ლ. გუდიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, გ. ხმალაძე ბორჯომის ხეობის გამოჩენილი მხატვარია. მისი „ბორჯომის ხეობის ალბომი“ 1919 წელს თბილისში ნ. ფიროსმანაშვილის, ლ. გუდიაშვილისა და ე. ახვლედიანის სურათებს ერგვერდით იყო გამოფენილი. მაგრამ გ. ხმალაძე მარტო მხატვრობით როდი ყოფილა დაინტერესებული. მან კარგად იცის ძველი ქართული მწერლობა, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“. გამოქვეყნებული აქვს ნარკვევი „ვინ არის ავტორი ინდოხატიელთა ეპიზოდისა“, რომელშიც გამოთქვამს აზრს, ინდოხატიელთა ეპიზოდის ავტორი რუსთაველიაო.

გ. ხმალაძემ თავგზანაად გადმოგვცა ქვაბისხევის მარიამწმინდის ეკლესიის ფრესკების გამოხატულება შოთა რუსთაველი და დიდამისი ია, ჩვენ ხალხში შეგვამოწმეთ. ამ მხრით მე და ხმალაძემ შემოვიარეთ ქვაბისხევი, მოვიკრებინეთ საბალხო მოქმედებებს, გავეცანით მათ ჩანაწერებს.

თავდაპირველად გავეცანი მესხეთიდან ჩამოსახლებული ლაზარე ხუციშვილის ჩანაწერებს, რომელიც მას მესხეთში შეუკრებია. ამ ჩანაწერების მიხედვით რუსთაველის დედას სახელად ია ერქვა. ამ მხრივ საინტერესოა ბორჯომის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ლ. ხუციშვილის მიერ მესხეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით რუსთაველის დედას სახელად ია ერქვა. ჩვენ ინახულეთ ლაზარეს შვილი თინა. მასთან გ. ხმალაძემ მიმიყვანა. მან სიამოვნებით დაადასტურა გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა და თავის მხრით ისიც დაუმატა, რომ მამამისის მესხური ჩანაწერების მიხედვით, შოთა რუსთაველის დედა გათხოვილი იყო ქვაბისხევში.

სახელი ია ძველ საქართველოში გავრცელებული ყოფილა. ამას მოწმობს ზეპირსიტყვიერი გადმოცემები.

ქვაბისხეველი მოლიქსი ი. მაისურაძე რუსთაველის ძლიერი გაოცებით ქმნის თავის ლექსებს. ასეთია, მაგალითად, მისი ლექსები „პოი, შენ წუთისოფელო, დროებათ დამატკბობელო“, ან „ნუგეში უთხრათ მეგობრებს ეს ხომ რუსთაველის წესია“.

ტარასი მაისურაძის და მისი ძმის მათეს თქმითაც ქვაბისხევში შ. რუსთაველი დედასთან ერთად მოსულა თავისი სურათის სანახავად, ი. მაისურაძე ერთ თავის ლექსში გადმოგვიცემს:

„ჩვენი შოთა რუსთაველი
დედი მგოსანი ყოფილა
ქვეყანა შემოიარა,
გაგვიღო სიბრძნის კარები.
ერთდროს ქვაბისხევს მოვიდა,
მოძებნა ჩვენი საყდარი
დედაც თან ახლდა მგოსანს,
მოინახულა სურათი“.

უფრო მეტიც: ხალხის გადმოცემით რუსთაველს პირველდაწყებითი სწავლა ქვაბისხევში მიეღოდა. მართალია, ეს ისტორიული წყაროებში, ისე როგორც მრავალი სხვა, აღნიშნული არ არის, მაგრამ ეს სავსებით შესაძლებელია, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მესხეთის მაშინდელ კულტურულ დონეს. ცნობილია, რომ ქვაბისხევის მეზობლად მდებარე ტაძრისში დაწყებითი განთლება მიიღო დიდმა მეცნიერმა გ. მთაწმინდელმა. აკადემიკოსი კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „დიმიტრის იამბიკონი“ დაკული ყოფილა ქვაბისხევის მონასტერში“. „ქალმასობაშიც“ მოხსენებულია ქვაბისხევის მონასტერი, სადაც ბერად აღიკვეცილა იონა ხელაშვილი. ბორჯომის ხეობაში გვარი „შოთაძენი“ გავრცელებული იყო.

ქვაბისხევის ბაზილიკა, რომელსაც შოთასი და დიდამისის სურათები შემოუნახავს, უპატრონოდ არის მიტოვებული. სახურავის ერთი მხარე ჩანგრეულია, მაგრამ მასზე ისევ ცოცხლად დგას ხეები. დროთა ვითარებაში შოთასი და დედამისის სურათები დაზიანებულა, ზოგან ატკეცილა. როგორც ეს აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, ქალის პორტრეტთან მოჩანს ძველი წარწერის ნაკვალევი, რომელიც ახლა ალარ იკითხება. ვინ იცის, რა ძვირფასი წარწერა დაჯარგულა. ფიური მეტიც: მოხუცი ადამიანებს თავისი „ვაი-სახელებით“ შეუმკიათ ეს უნიკალური ძეგლი — „ლერი, ალერკოლი, ალიკა, ფატმა, ჯანჯო, ასრიკა“ — აი სახელები, რომლითაც წარჯინილია ძეგლი.

კულტურის ძეგლების დაცვის კანონში სხვათა შორის, სხვა დიდმნიშვნელოვან დებულებებთან ერთად აღნიშნულია: „ძეგლთა დაცვა სახელმწიფო ორგანიზაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. კულტურის ძეგლთა გაფრთხილება თვითეული მოქალაქის პატრიოტული ვალია“.

ერთი სიტყვით, ეკლესიის ძველმა საერო ადამიანების შოთასი და მისი დედის სურათების გამოხატვა მოწმობს, რომ თავის დროშაია პოეტს დიდ პატივს სცემდნენ და განა ჩვენ უფლება გვაქვს ასეთ ისტორიულ ძეგლს უყურადღებოდ მოვეკიდოთ?!

აუცილებელია, ქვაბისხევის ეკლესიის დაფა გადაკეთდეს, რომელზეც აღნიშნული იქნება, რომ ის დაცულია სახელმწიფოს მიერ, ამასთან გარკვეული სარესტავრაციო სამუშაოებიც დროულად უნდა განხორციელდეს.

ა. ბაჩიჩილაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ზ ხიარულად, საინტერესოდ ატარებენ მოსწავლეები ზაფხულის არდადეგებს მანგლისის პიონერთა ბანაკ „ხალისიანში“. წელს აქ ახალი სასწავლო წლისათვის ძალებს იკრებს ხამხედრო მოსამსახურეთა 700-ზე მეტი ბავშვი. მათთვის აქ ეწყობა სპორტაკიადები, შეჯიბრებები „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ კომპლექსის ნორმების ჩასაბარებლად, ტურისტული ლაშქრობები მშობლიურ მხარეში, სამხედრო-სპორტული თამაშობა „ზარნიცა“ და სხვა საინტერესო ღონისძიებანი. სურათებზე: ხალამო პიონერულ კოცონთან; პიონერები ნინო ჩემია და ნინო ცინცაძე.

ბერილი რედაქციაა

ისვენებენ, ერთობიან



ანსამბლი „თბილისი“ იაპონიაში

ესტრადაზეა
ირმა სოხაძე

იაპონიაში მოგზაურობიდან დაბრუნდა თვითმფრინავი ანსამბლი „თბილისი“. ეს კოლექტივი წარმატებით გამოდიოდა ტოკიოში, ნაგოიაში, ხიროსიმასა და ამომავალი მზის ქვეყნის სხვა ქალაქებში.

ანსამბლის შემადგენლობაში იყო მომღერალი ირმა სოხაძე, რომელმაც ჯერ კიდევ ხუთი წლის ასაკში მოიპოვა მსმენელთა სიყვარული. ახლა ირმა თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და კვლავ გატაცებულია სიმღერით.

— ჩვენ იაპონის ცხრა ქალაქში ვიყავით, — უთხრა ხაჭინფორმის კორესპონდენტს მომღერალმა. — განსაკუთრებით გულთბილად შეგვხვდნენ კანაგავაში, სადაც ერთ დღეში ანსამბლმა მოამზადა და კონცერტზე შეასრულა პიპეოლარული იაპონური სიმღერა „წელიწადის დრონი“. დაუვიწყარი იყო ხიროსიმაში ყოფნა, სადაც ყვავილებთ შევიმკეთ ატომური დაბომბვის მსხვერპლთა მემორიალი.

ახლანდელი მოგზაურობისთვის ვის მომზადებული გვქონდა ორი პროგრამა — ერთი იაპონელი მაყურებლისათვის, რომელიც ქართულ ხალხურ სიმღერებს შეიცავდა, და მეორე ლაინერ „მარია ულიანოვას“ მგზავრთათვის, რომლითაც ვიმოგზაურეთ იაპონიის გარშემო. მეორე პროგრამაში ტურისტებს ვუმღერეოდით პოლონურ, ბულგარულ და სერბო-ხორვატულ ენებზე.

— იაპონიაში ყოფნა ანსამბლ „თბილისისათვის“ მარტო უცხოეთში მოგზაურობა კი არა, არსებითად მისი ნათლობაც იყო“,—თქვა ანსამბლის ხელმძღვანელმა და მისმა სოლისტმა, — ჩვენი კოლექტივი ხომ სულ ექვსი თვეა არსებობს, ახლა იგი ოქტომბრის მე-50 წლისთავისათვის ამზადებს ახალ პროგრამას, რომლითაც მოსკოვში გამოვა.

ეს საინტერესოა

კოსმოსელი „სტუმარი“

ნაკოვნია რკინის
მეტეორიტი

ჰიდრომეტეოროლოგიურის ყელიდან 40 ატმოსფეროს დაწნევით გამოვარდნილი წყალი ბურთიანი ათამაშებდა ქანის ულამაზესი ნატეხებს. მარტო ერთი ნატეხი „ფერადი“ უცნაურად: იგი ამ მძლავრ ჭავლზე არ რეაგირებდა. ამეორეთარეთის ბილიარდის მრეწველთა არტელის მუშას ა. ჩერედნიჩენკოს იგი თვითნაბადი ეგონა. მაგრამ თურმე ეს ოქრო არ ყოფილა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთის კომპლექსურ სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში მოწყობილმა სპეკტრულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ეს რკინის მეტეორიტია.

— ეს მეიმესეს კოსმოსელი სტუმარია მაგადანის ოლქის ტერიტორიაზე 1939 წლიდან, — თქვა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ს. გ. ჟელნინმა. — რკინის მეტეორიტი 58 კილოგრამს იწონის, აქვს სოლისებრი ფორმა, ელვავ შეერილები და კარგად გამოხატული დაკანგვის ჭერქი. თუ მოხი მდგომარეობის სიღრმითა და ზედაპირული ეროზიის ნიშნებით ვიმსჯელეთ, იგი დედამიწაზე რამდენიმე ათასწლეულის წინ დაცემულა.

ხ. ბლინოვი,
მაგადანი.

ხაკდენის კორ.

ფეხბურთი

საინტერესო მატჩი

თბილისის „დინამო“ — [illegible] — 2:2 (0:2).

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, მსაჯი მ. კუსენი (ლვოვი). 70 ათასი მაყურებელი. ტემპერატურა 25 გრადუსი.

„დინამო“: გოგია (გაბელია), ხიზანიშვილი, ჭორიძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, დარასელია, მ. მაჩაიძე, შენგელია, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე (კანთელაძე).

ცხაა: ასტაპოვსკი, საუხი, გრიგორიევი, ნიკოლაენკო, ოლშანსკი, მოროზოვი, ჩესნოკოვი, კობეიკინი, ტარხანოვი (კოლპოვსკი), ბიჩეკი, დულიკი.

თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. ჯერ მარჯვნიდან საჯარიმო მოედანზე შეიჭრა გუცაევი, შემდეგ მარცხნიდან — ჩელებაძე, კარის გასწვრივ ჩაწოდებებიც კარგად გამოუვიდათ, მაგრამ იმარჯვა ასტაპოვსკიმ. თავიდანვე ვიტყვით, რომ ამ დღეს არმიელთა მეკარე მოწოდების სიმაღლეზე იყო, მისი გააზრებული თამაში რომ არა, ვინ იცის მატჩის ბედი როგორ გადაწყდებოდა.

თანდათან არმიელებმა ვაათანაბრეს თამაში და მათი რამდენიმე კონტრიერიში კინაღამ გოლით დამთავრდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ჩესნოკოვი, რომელიც ხშირად იცვლიდა ადგილს და ყოველთვის იერიშის წინა ხაზზე იყო. ორივე გოლი თითქმის ერთნაირ ვითარებაში გაიტანეს სტუმრებმა — თბილისელთა მცველებს მსედველობიდან გამოეპარნათ „ჩასაფრებული“ ჩესნოკოვი, თვით მეკარე გოგიასაც არასელსაყრელი პოზიციები ეჭირა და არმიელს ჯერ მე-14, შემდეგ კი 39-ე წუთებზე ოსტატურად აიღო მასპინძელთა კარი.

თბილისელთა იერიშები კი უფრო ქაოტურ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სულ სხვანაირად ათამაშდნენ დინამოელები მეორე ნახევარში. მოედანზე კანთელაძის შემოსვლამ მეტი დამაჯერებლობა მისცა დაცვის თამაშს. პირველივე წუთზე კვლავ ასტაპოვსკიმ სასწაულებრივად ისხნა კარი შენგელიას თავერი დარტყმის შემდეგ. დაიწყო სტუმრების კარის ხანგრძლივი ალყა-შეტევა. შეძლებდნენ კი შორეული მეზავრობიდან ასლაფაჩამოსული დინამოელები შენარჩუნებას ისეთი ტემპისას, რომლითაც ათამაშდნენ ისინი? შესძლეს.

არმიელები ყრუ დაცვაზე გადავიდნენ. მაგრამ ი 59-ე წუთზე დარასელიამ მარცხენა ფრთიდან შორიდან (დაახლოებით 20 მეტრიდან) „ჩაჭიდა“ ბურთი მეკარისაგან შორეულ კუთხეში — 1:2. დინამოელებს ქეთის გადარჩენის იმედი მოეცათ. გოლი კი არ ჩანდა. იწურებოდა 89-ე წუთი, როცა გუცაევმა მარჯვენა კუთხურის ალამთან მიუსწრო ბურთს, ჩაჩაწოდა კარის გასწვრივ და ყიფიანმაც არ დააყოვნა — მეტად ძლიერი, ლამაზი დარტყმით ანგარიში ვაათანაბრა — 2:2.

ასე დამთავრდა ეს ძაძაბული, საინტერესო შეხვედრა.

ვ. ჭანიშვილი.

შეხვედრის შემდეგ

ცხაა — გ. აბაკოვი (მწვრთნელი): „მაყოფილი ვარ მოპოვებული ქულით. დღევანდელ მატჩში ორი „დინამო“ ვნახეთ — პირველ და მეორე ტაიმში. თამაშის მეორე ნახევარში თბილისელთა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მასპინძლებს თამაშის მოგებაც კი შეეძლოთ. აქვე მინდა მადლობა მოვახსენო თბილისელებს ჩვენი გუნდის კარგი მიღებისათვის.

„დინამო“ — ნ. ახალკაცი (უფროსი მწვრთნელი): პირველ ტაიმში დინამოელებმა ითამაშეს ე. წ. „ავანტიურისტული“ ფეხბურთი. დაცვაში დაშვებული იქნა შეცდომები. საუცხოოდ ითამაშა მეკარე ასტაპოვსკიმ, შესანიშნავი იყო ჩესნოკოვი, რომლის წინააღმდეგ ჩვენი დაცვა ვერაფერს ბედავ. ცხაა-მ პირველ ტაიმში თავისი ძველი, ტრადიციული თამაში მოგვაგონა.

მ. კუსენი (მსაჯი): დღევანდელი თამაში მომეწონა. მადლობელი ვარ გუნდების მწვრთნელებისა, რომლებმაც ფეხბურთელები კარგად მოამზადეს მაჯჩისათვის როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად.

სხვა სტადიონებზე

„დნეპრი“ — „დინამო“ კ. — 1:0
„კაირატი“ — „დინამო“ მ. — 2:2
„ჩერნომორეცი“ — „ზარია“ — 1:0
„არარატი“ — „არ. სოვეტოვი“ — 3:0
„ზენიტი“ — „ნეფტჩი“ — 1:0
„ალარპატი“ — „შახტიორი“ — 1:1

• • •

„ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“ შეხვედრა გადატანილია ოქტომბრისათვის.

მძლეოსნობა

რეკორდი „ბადარჩა“

ბელგიაში, ბრიუსელის სტადიონზე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ცნობილი ახალზელანდიელი მორბენალი ჯონ უოკერი ძველადა გაეუმჯობესებინა მსოფლიო რეკორდი 1500 მეტრზე მან, მართალია, სეზონში საუკეთესო დრო უჩვენა — 3.32,7 ოგრამ რეკორდი (3.32,2), რომელიც ტახსანიელ ფ. ბეიას ეკუთვნის, ჯერჯერობით ძალაში რჩება.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა პოლონელმა ვოიციეკ ვმოლამ ცდების ჯამით დაუთმო პირველობა მსოფლიოს ექა-რეკორდსმენს ამერიკელ დუაიტ სთოუნსს. ორივე სპორტსმენმა დასძლია მსოფლიო 227 სანტიმეტრზე გადებული თამასა.

ორ დისტანციაზე პირველობდნენ კუბიელი ათლეტები. მაგ ბოიტმა ყველაზე სწრაფად გაიარა 800 მეტრი — 1.45,2, ხოლო სამსონ კიმოვამ, რომელმაც წლეულს მსოფლიო რეკორდი დაამყარა 10 ათას მეტრზე რბენაში, აქაც ამარჯვა — მეტოქეებს გაუსწრო ისეთ ძალგიან 28,26,4. ევროპის სტადიონებისათვის საუკეთესო დრო უჩვენა ბელგიელმა ალფონს ბრიდენბახმა 400 მეტრზე რბენაში — 45,13 წამი.

ჭადრაკი

ჰარტია გადაიდო

ზენევა, 17 აგვისტო. (საკუთრ.). მსოფლიო პირველობის ნახევრადფინალური მატჩის მეთოთხმეტე პარტია სპასკისა და პორტიშეს შორის 41-ე სვლაზე გადადიდო.

ჯერჯერობით წინ არის სპასკი — 7:6.

ასპარეზობენ სტუდენტები

მეხიკოზე სტუდენტთა მსოფლიო ოლიმპიადაზე დაიწყო ფინალური შეხვედრები. პირველ მატჩში საბჭოთა ჯაჭოებმა დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი — 4:0, მეორეში კი წინ არის ბრაზილიელებთან 2,5:0,5 (ერთი პარტია გადადებულია). მთავარ ფინალში მოხვედრილ ორ ჯგუფად კუბის, ინგლისის, ვენესუელის, აშშ-ს, პოლონეთისა და შეჭიკის გუნდები.

ცურვა

სიხარულიც, სინანულიც

შვეიცარიის ქალაქ იენჰაინგში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი საწყალჯოძარდო სპორტში. პირველმა ფიბალურმა გაცურვებმა საბჭოთა გუნდის წევრებს სიხარულიც არგუნა და სინანულიც. კარგი ხხის „შესვენების“ შემდეგ ბრასის სტილით 200 მეტრზე კონტინენტის უძლიერესი მცურავი კვლავ საბჭოთა სპორტსმენია — 13 წლის იულია ბიგდანოვა. კიდევ ერთი ჯილდო, ოღონდ ბრონზაოსი დაიმსახურეს ვოიტმა თავისუფალი სტილით 4X100 მეტრზე ეკუსტაფეტო ცურვაში. ამ სახეობაში ჩვენი ჩვიარტეტი ევროპის რეკორდის მფლობელი იყო, მაგრამ იგი ამჯერად გააუმჯობესეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენებმა, რომლებიც პირველი ადგილზე იყვნენ ფინიშთან.

10-მეტრიანი კოძკურიდან წყალსტომაში გაიძარცვა 18 წლის მარგარიტ შეპკენ (დგრ). მან გაუსწრო ორ ჩეძიორს — ოლიმპიურს — ბოსკოველ ელენე ვაიცეხოვსკაიას და მსოფლიოსას პენზელ ირინე კოლინასს.

ეროვნიკა

ავჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრიანებულებებით ამბ. ი. გ. უნგიაძე დაინიშნა ავჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ; ამბ. ი. ა. ჯაში განთავისუფლებულია ავჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

რედაქტორი
დ. მეჭედლიშვილი.

ჩვენი ჯანმრთელობა

ჩვენ და ჩვენი თვალისჩინი

პრეპარატი ენკადი, რომელიც ნოკლეოტიდების კომპლექსისაგან შედგება, ცნობილმა საბჭოთა ოფტალმოლოგმა პროფესორმა ბორის ფედოროვიჩ ფეოდოროვმა „პიგმენტური რეტინიტის“ სამკურნალოდ. ეს მძიმე პროგრესული ავადმყოფობაა, რომლის ძირითადი სიმპტომებია მხედველობის შესუსტება ბინდისას (ანუ „ღამის სიბრმავე“). ამ ავადმყოფობის დროს ვიწროვდება მხედველობის არე და თანდათანობით სუსტდება მხედველობა. თვალის ბადურაზე ჩნდება თავისებური პიგმენტური ჯრები, რომლებიც თანდათან მატულობენ და პერიფერიიდან თვალის ფსკერის ცენტრალური ზონაზე ეროვლდებინ. ავადმყოფობას მემკვიდრეობითი ხასიათი აქვს და ამიტომ ხშირად ერთი ოჯახის რამდენიმე წევრს ემართება.

და თუმცა ხნადასხვა ქვეყნის ოფტალმოლოგები გულმოდგინედ სწავლობენ ამ ავადმყოფობის თავისებურებებს და უკვე ბევრი დიდმნიშვნელოვანი მონაცემი მიიღეს, მისი ეფექტიანი მკურნალობის საკითხი ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება.

ჩვენს ქვეყანაში უკვე ათი წელია აქტიურად ეძებენ ბადურის მემკვიდრეობითი დაავადების მკურნალობის მეთოდებს. ეს ძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც პროფესორმა ფეოდოროვმა (ერთადერთ ბადურაში) რიბონუკლეოტიდების — ვირუსის ნორმალური ფუნქციონირების განმსაზღვრელი ნივთიერებების შესაძლო ეფექტიანობა ბადურის ბიოპოტენციალები: პიგმენტური რეტინიტის დროს ელექტროენცეფალოგრამა ან სულ არ არის ან მკვეთრად ქვეითდება.

ამჟამად ჩვენს ხელთაა 200 მეტ ავადმყოფზე დაკვირვების მონაცემები: ზოგიერთმა მეთვალყურემ მკურნალობის კურსი 2-7-ჯერ გაიარა. ამასთან 80 შეფთხვევაში დადებითი ეფექტი მიიღეთ. იგი გამოიხატებოდა ან მხედველობის ფუნქციის გაუმჯობესებით (მხედველობის არის გაფართოება და მხედველობის მომატება), ან ავადმყოფობის სტაბილიზაციით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებრივი პიგმენტური რეტინიტი განუწყვეტლივ ვითარდება, რის შედეგადაც ადამიანი ინვალიდდება, რამდენიმე წლის განმავლობაში თუნდაც შესუსტებული მხედველობის შენარჩუნება დადებით შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ამ ავადმყოფობაზე დინამიკურმა დაკვირვებამ, რომლებიც 4-7 წლის განმავლობაში სისტემატურად (წელიწადში ორჯერ) მკურნალობდნენ, ყველა შემთხვევის დაახლოებით 60 პროცენტში პროცესის სტაბილიზაცია გვიჩვენა.

მინდა აღვნიშნო, რომ პრეპარატი ენკადი მთლიანად არ კურნავს. იგი ან რამდენადმე აუმჯობესებს მხედველობას ან ავადმყოფობის სტაბილიზაციას იწვევს. ამრიგად, „პიგმენტური რეტინიტის“ მკურნალობის მხოლოდ ზოგიერთი საკითხი შეძლება მივიჩნიოთ ნაწილობრივ გადაჭრილად. ჯერ კიდევ გულმოდგინედ უნდა შევისწავლოთ რიბონუკლეოტიდების კომპლექსის მოქმედების მექანიზმი.

ლ. კაცენელსონი,
მოსკოვის მელმჭილეის სახელობის თვალის ავადმყოფობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი.

ეს ეკონომია

ეკონომია

ბანკი

ბანკი ეკონომიკური ინსტიტუტია, ფულადი სახსრების ბანკირი, ფულადი ურთიერთობების ორგანიზატორი. ბანკი ეკონომიკურ ინსტიტუტია, ეს ნიშნავს, ბანკი ეკონომიკურ ორგანიზაციებს ანიჭებს ფულადი სესხებს, ანგარიშობს, ინახავს ფულადი სახსრებს, ანგარიშობს ფულადი ანგარიშსწორებით, ანგარიშობს ფულადი ანგარიშსწორებით, ანგარიშობს ფულადი ანგარიშსწორებით